



N636

14 დეკემბერი, 2021 წელი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ბრძანება

ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების პრევენციის მიზნით ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილეთა აუცილებელი უსაფრთხოების წესების შესახებ

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, 2021 წლის 17, 20, 21, 22, 23, 24 და 25 დეკემბერს, დანიშნული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ეფექტიანად ადმინისტრირების უზრუნველსაყოფად, დამტკიცდეს უსაფრთხოების წესები წინამდებარე ბრძანების თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, 2021 წლის 17, 20, 21, 22, 23, 24 და 25 დეკემბერს, დანიშნული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დამტკიცდეს წესები წინამდებარე ბრძანების თანდართული დანართი N2-ის შესაბამისად.
3. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირებისა და წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების უზრუნველყოფა დაევალოს ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ასათიანი

თავმჯდომარე

კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის აუცილებელი უსაფრთხოების წესები
ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირებისთვის

(ადმინისტრაციისა და რეგისტრატორებისთვის)

- მონაწილეთა საგამოცდო მაგიდები განთავსდეს 2 მეტრიანი დისტანციის დაცვით;
- თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების წესები;
- საგამოცდო სივრცის შესასვლელთან განთავსდეს დეზობარიერი, თერმოსქრინინგისთვის განსაზღვრული აპარატი და სადეზინფექციო ხსნარი;
- საგამოცდო სივრცეში შესასვლელთან განხორციელდეს მონაწილეთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა თერმოსქრინინგი;
- ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში, მონაწილე, ისევე როგორც, ადმინისტრაციის თანამშრომელი ან/და რეგისტრატორი არ დაიშვება საგამოცდო სივრცეში;
- საგამოცდო ცენტრის შესასვლელ-გამოსასვლელთან განთავსდეს ჰიგიენური ნარჩენების დახურული კონტეინერები;
- ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გარეშე ადმინისტრაციის თანამშრომლები, რეგისტრატორები და მონაწილეები არ იქნან დაშვებული საგამოცდო სივრცეში;
- ადმინისტრაციის თანამშრომლების და რეგისტრატორების მიერ გამოყენებულ იქნეს სახის დამცავი ფარი და უსაფრთხოებისთვის განსაზღვრული სხვა საშუალებები;
- საგამოცდო სესიის დასრულების შემდგომ, საგამოცდო მაგიდები და კომპიუტერული მოწყობილობები დამუშავდეს სპეციალური სადეზინფექციო ხსნარით;
- საგამოცდო სივრცის ბუნებრივი განიავება განხორციელდეს ყოველ 30 წუთში;
- ადმინისტრაციის თანამშრომლებს და რეგისტრატორებს წინასწარ ეცნობოთ ინფორმაცია წინამდებარე პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- გამოცდის მონაწილეებს წინასწარ ეცნობოთ წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის აუცილებელი უსაფრთხოების წესები ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილეთათვის“.

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის აუცილებელი უსაფრთხოების წესები
ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილეთათვის

- თუ არსებობს რისკი, რომ კონტაქტი გქონდათ ინფიცირებულ პირთან ან/და გიფიქსირდებათ ტემპერატურა, (37 და ზემოთ) და არ გაქვთ PCR ტესტის ცნობა, არ გამოცხადდეთ გამოცდაზე; მოგვიანებით, განცხადებისა და შესაბამისი ცნობის საფუძველზე, მიმართავთ ადვოკატთა ასოციაციას მომდევნო საგამოცდო ციკლზე დაშვების მიზნით;
- საგამოცდო სივრცეში შესვლამდე, ჩაგიტარდებათ თერმოსკრინინგი. ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, მონაწილე არ დაიშვება საგამოცდო სივრცეში; მოგვიანებით, შეძლებთ განცხადებით მიმართოთ ადვოკატთა ასოციაციას მომდევნო საგამოცდო ციკლზე დაშვების მიზნით;
- საგამოცდო სივრცეში გამოცხადებისას, თან იქონიეთ მხოლოდ აუცილებელი ნივთები. ზედმეტი ნივთები, (მათ შორის, ხელჩანთა, მობილური ტელეფონი, წიგნები, ა.შ.) არ შეიტანოთ საგამოცდო სივრცეში;
- თერმოსკრინინგის გავლის შემდგომ, პასუხისმგებელი პირის მითითებით გაიარეთ რეგისტრაცია საგამოცდო სივრცეში დაშვების მიზნით;
- თან იქონიეთ პირბადე. საგამოცდო სივრცეში პირბადის გარეშე მონაწილე არ დაიშვება; შენობაში ყოფნისას, არ მოიხსნათ პირბადე;
- საგამოცდო სივრცეში შესვლისას, გაიარეთ დეზობარიერზე და დაიმუშავეთ ხელები სადეზინფექციო ხსნარით;
- რეგისტრაციის თუ სხვა ნებისმიერი პროცედურის გავლისას დაიცავით 2 მეტრიანი დისტანცია;
- უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით სარეგისტრაციო პროცესის გავლის მიზნით, რეგისტრაციაზე გამოცხადდით 8:30 საათიდან;
- შენობის დატოვების შემდეგ, პირბადე ჩააგდეთ გასასვლელში სპეციალურად გამოყოფილ ურნაში;
- დაემორჩილეთ პასუხისმგებელი პირის სხვა შესაბამის მითითებებს.